1889 წელსა, № 22 30 ნოემბერს.

# მწყემსი

1883-1889

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის ისუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## კიდევ საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველოების დაარსების შესახებ ჩვენში. *)

ჩვენს მკითხველებს საზოგადოდ და განსაკუთრებით სამღვდელოებას საკმაოდ განუმარტეთ ჩვენ საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველოების მიზანი, მოქმედება და ის სარგებლობა, რომელიც ამ სამზრუნველოებს შეუძლია მოუტანონ ჩვენ ღარიბ ეკკლესიებს, სამღვდელოებას და საზოგადოებას. ამ სამზრუნველოთა წესდებულება 1864 წელში იყო უმაღლესად დამტკიცებული და ამ დროს აქეთ რუსეთში თითქმის ყველა ეპარქიებში დაარსდენ ამისთანა სამრევლო სამზრუნველოები და მათ დიდი სარგებლობაც მოუტანეს ეკკლესიებს და სამრევლოებს. მხოლოდ ჩვენს საქართველოში დღემდის არსად არ დაარსებულან ასეთი საზოგადოებანი და არ დაარსებულან იმიტომ, რომ ამ საქმეს მოთავე და გულით ხელის მომკიდებელი არავინ აღმოჩენია. უკაზები სამრევლო სამზრუნველოთა დაარსების შესახებ, მართალია, მრავალჯერ გამოცხადებია სამღვდელოებას, მაგრამ გამოცხადებას გამოცხადებათ ჩაუვლია და საქმით კი არასფერი გაკეთებულა. მობრძანდა თუ არა საქართველოში მაღალ ყოვლად სამღვდელო პალლადი, ექსარხოსი საქართველოისა, მათ, სხვათა შორის, ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ამ ფრიად კეთილ დაწყებულების გავრცელებას ჩვენს სამრევლოებში და მართლადაც, ქართლის ეპარქიაში მრავალგან დაარსდენ ეს სამზრუნველოები, რომელთაც ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც კი შესამჩნევი ნაყოფი მოუტანეს ეკკლესიებს. დღეს, მადლობა ღმერთს, ამ მშვენიერ დაწესებულებათა გავრცელებას სხვა ეპარქიებშიაც მიაქციეს ყურადღება. ამისათვის საჭიროდ და სასარგებლოდ დავინახეთ საეკკლესიო სამზრუნველოების უმაღლესად დამტკიცებული წესდებულების დაბეჭდვა რუსულად და ქართულად როგორც ჩვენს გამოცემა-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 18.

ში, ისე ცალკე წიგნაკებად სახელმძღვანელოდ სამღვდელოთათვის...

ზოგიერთ ადგილებში სამზრუნველოთა მოქმედებამ უსიამოვნება გამოიწვია სტაროსტების მხრით, რადგან სამზრუნველოს წევრებმა თავისი უფლება სტაროსტებზედაც გაავრცელეს. ბოლო ხანებში ზოგიერთი კითხვები სინოდის უკაზებით იყო გარდაწყვეტილი და განმარტებული. ამისათვის საუმჯობესოდ დავინახეთ, რომ ამ წესდებულებასთან ერთად დაგვებეჭდა ეს დამატებით განმარტებანი უწმიდესი სინოდისა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადგილობითი ეპარქიის მღვდელ-მთავარნი ერთჯერ კიდევ მოიწვევენ სამღვდელოებას, რომ მათ დაწვრილებითი განმარტების შემდეგ იხმარონ თავის მხრით ყოველივე ღონე სამრევლო სამზრუნველოთა დაარსების შესახებ. ჩვენ ნამდვილათ შევიტყეთ, რომ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ცირკულიარულ მიწერილობას უგზავნის ბლაღოჩინებს და წინადადებას აძლევს მათ, რომ ეცადონ და შესანიშნავ სამრევლოებში დაარსონ საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველონი. იმედი გვაქვს, რომ ეს უკანასკნელი (და ადგილობითი მღვდელ-მთავრებისა და სამღვდელოებისა უნაყოფოდ არ ჩაივლის...

დეკანოზი დავით ღამბაშიძე.

## ხმა პროვინციიდამ.

ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მოღვაწეობამ ბევრნაირი კეთილი გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაზედ. შემკრთალი და გულ-ამღვრეული ერი საქართველოსი მისმა მადლიანმა სრუყვა-მოქმედებამ დაამშვიდა და სამართლიანი ცხოვრების იმედები გაუღვიძა და გაუცხოველა. დღეს მთელი ქართველობა მას შეჰყურებს ისე კი არა, როგორათაც ფიცხ და მრისხანე მეუფროსეს, არამედ როგორათაც თავის ერთგულ მფარველს და კეთილისმყოფელს მამას. სხვა რომ სრულებითაც აღარ იყვეს რა, მარტო ეს ერთი გარემოებაც საკმარისია, რომ ყოველმა ქართველმა მოწიწებით ჩაინერგოს გულში აწინდელი ეგზარხოსის სახელი!

ამ სახელმა რაღაც საიმედო გამაცოცხლებელი ნიავი მოჰფინა ქართველების სულსა და აღძრა მასში ზნეობრივი ძალა, რომელიც, სხვათა შორის, ძველის ტაძრების აღდგენასა და განახლებას მიემართა. მათი მეუფების ზეგავლენით შესდგა რამდენსამე ადგილას კომიტეტები, რომელთაც გულმოდგინებით მიჰყევს ხელი მოხსენებულს საქმესა... და ამ ნაირად, დღეს თითქმის საფლავიდგან სდგებიან მრავალი იმისთანა ძვირფასი ნაშთები ძველის დროისა, რომელნიც ბევრს რამეს ეუბნებიან თანამედროვე ქართველის დაჩაგრულს გულსა! მათ წმიდა კედლებზედ და მათში შენახულ ნივთებზედ მეცნიერება ჰკითხულობს ჩვენ წინაპართა ხელოვნების ისტორიას; ისინივე არიან მოწამენი ჩვენი ხალხის ბევრგვარ მდგომარეობისა; უბედობის ჟამს მათში იღვროდა ტანჯულთა ცრემლი და ისმოდა გოდება მტრისაგან გათელილის ქვეყნისა! ბედნიერების დროს პირველად იქ ჩამოჰკრავდა ხოლმე გმირთა გამაღვიძებელ ზარსა და სამშობლო ქვეყნის განთავისუფლება აქვე, ამ წმიდა ადგილებზედ, გაშლიდა ხოლმე პირველად თავის ძლევა-მოსილების დროშას... მაშ, დიდება თქვენს ფეხზედ წამოყენებას, თქვენს მკვდრეთით აღდგომას!.. დიდება თქვენს კვალად სამერმისო დღეგრძელობას ჩვენ მამა-პაპათა ცხოვრების ქენო, მაგრამ ბევრის მთქმელნო მოწამენო!..

თუ ოდესმე გივლიათ, მკითხველო, გორის მაზრაში და დიდი ლიახვის ხეობა დაგითვალიერებიათ,

თქვენს ყურადღებას, ეჰეი არ არის, ზემონიქოზის ძველის-ძველი ტაძარიც მიიქცევდა. «ლიაღვ გაღმა, ნიქოზს, არს ეკკლესია ღვთაებისა, დიდი გუმბათიანი. აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოსოდ და დასვა ეპისკოპოსი... და არს ეკკლესია ესე დიდ-შენი, კეთილს ადგილს, შვენიერი». სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამ ტაძრის შესახებ. აჭყვავებულ ხეობაში, ზედიზედ გადაბმულ უთვალავ ვენახებ ზემოთ ამაღლებულია ტიტველა კლდიანი გორის ძირი, რომელზედაც ხედავს გამვლელ-გამომვლელის თვალი გმირ გორგასლანის დროის დიდებულ ნაშთსა. იგი სდგას ფიქრით მოცულ მრისხანე მოხუცივით და მშვენიერ ხეობას დასცქერის წარბ შეკრული, თითქო აწინდელი ვითარებისა მას არარა მოსწონდეს რა. აგებულია მოწითალო თლილი ქვით, შემკული მრავალ-გვარ საუცხოვო ჩუქურთმებით; იგი სდგას, როგორათაც თვალ-საჩინო ძეგლი ქამთავითარებაში ჩანთქმული ცხოვრებისა; ის არის საგულისხმიერო სურათი ჩვენის ერის წარსულისა და აწმყოსი; დიდებულია, როგორათაც წარსული და გაოხრებული, როგორათაც ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება ჩვენი!!. როდესაც, ემ ორი-სამი წლის წინათ, ვნახევი ეს ტაძარი და გულდადებით დავათვალიერე იგი, გამჩენს ვფიცავ, გული მომიკვდა: ისე იყო გავერანებული და მისი არე მარე მინგრეულ-მონგრეული!! ბაქვარტლულივით შავი, განიერი და ცოტა უშნო გუმბათი ყოველის მხრიდამ ფარღალალა გამხდარიყო და ქარი და წვიმა თავისუფლად შედიოდა მის მინგრევ-მონგრეულ ფანჯრებში. კედლებიდამ მრავალ ადგილას ქვები გამოცვივნულიყვნენ და დანარჩენ დარღვეულ ქვებსაც ახლო მომავალში ესეთივე ბედი მოელოდათ. მაღლა სახური ბევრს ადგილას იპყრობოდა და ამისგამო თაღებში ზოგან წვეთი ჩადიოდა და მთელს ტაძარს ანოტიავებდა. ორის მხრიდამ მიდგმული სამხრეები თითქმის სულ მინგრეულ-მონგრეულიყვნენ, რისგამო მთელი ეკკლესიის არე-მარეს ნაოხრის ფერი ედო. ტაძრის გარეშემო მცხოვრებლებს თითქო ანდერძი აეკრათ მისთვის და თავიანთ უსუფთაო ეზო-ბოსლები თითქმის კედლებამდისინ მიეტანათ. მამაკვდავი მოხუცი დაენახათ და, ნაცვლად წამლის მოძებნისა, წინათვე განეზრახათ—«განვეგდოთ წილი» მის უძრავ-მოძრავ ქონებაზედ. ეკკლესიაში რაიმე ძვირფასი ნივთეულობა სრულიად არა მოიპოვებოდა რა, ისე გაეყვლიფათ შინაურ თუ გარეშე მტრებს ეს ერთს დროს საეპისკოპოსო მდიდარი ტაძარი... «კედლები ჩამოჰქცევია და დღეს თუ ხვალ თვით გუმბათიც დაიგრიალებს და ჩამოწვება; ამნაირათ, ათას ვაივაგლახ გამოვლილი და გადარჩენილი დღეს, მშვიდობისა და მყუდროების ჟამს, ნანგრევებათ გარდაიქცევა!.» ნაღვლიანად ვამბობდი ჩემს გულში, როდესაც, დათვალიერების შემდეგ, უკან მოვდიოდი. მაგრამ, სასიამოვნოდ, საქმე მალე სხვა-ნაირად დატრიალდა. ანდერძ-აგებულ ტაძარს გამოუჩნდა ნამდვილი შვილი და ერთგული მზრუნველი! მ. ივანე დავითაშვილი გამწესდა აქ მღვდლათა და დიდებულმა ტაძრის ბედმაც გაიღიმა. ბასოცარის ენერგიით და პატივსაცემ გულმოდგინებით შეუდგა ეს ღარიბ ღატაკი მღვდელი იმისთანა საქმეს, რომლის მსგავსს თვით შეძლე და გამოჩენილი გვარიშვილებიც კი ვერ უბედავენ ხელის წავლებას. ასეთია, მაგ. მშვენიერი ტაძარი იკორთისა, (გორის მაზრაში) რომელიც უბედურათ იშლება და ლამის ზედ დააწვეს ერისთავთ სახელოვან წინაპართა საფლავებს *) ჩუქურთმიანი კედლების უპატრონოდ ნგრევას, ძვირფას საფლავის ქვების წახდენას და მთელის დიდებულის ტაძრის გავერანებას აწინდელი ერისთავები გულგრილად უცქერიან და მის განახლებისათვის არავინ მათგანი ყურსაც არ იბერტყავს. ასეთივეა უფრო მეტად შესანიშნავი ატენური სიონის ტაძარი, რომელიც დღეს საქონლის და ღამურების სადგომათ გადაქცეულა. წმიდა, ძვირფასი ნაშთი წარსულისა ოხერ-ტიალ ობოლივით სდგას და მწუხარედ გადმოსცქერის ვიწრო, მაგრამ მშვენიერ ხეობას რომელშიაც რავდენიმე კარგა შეძლებული თავადიშვილები სცხოვრობენ... მაგრამ სად არის და ვინ არის ამ ტაძრის ჭეშმარიტი გულშემატკივარი?.. მაგრამ, ეჰ!.. ან კი ვისთვის რა საჭიროა სიონის ტაძრის განახლება?!. ამგვარ «ჩხიჩ-კედელაობას» ის არა სჯობიან, რომ მამაპაპათაგან გარდმოცემული ძვირფასი მამული იაფ ფასად ჰყიდონ, აგირაონ, ალამაჰმად-ხანის მსგავსად აიკლონ და ამგვარად მოპოვებული ფულები პარიჟის სასტუმროებში მუქით აბნიონ!.. «ვაი, ვაი, ვასაო, ჩვენისთანა ხალხსაო!.. მწყემსი რომ კლდეზე გადვარდეს, ვინ მოუვლის ცხვარსაო». (ხალხური).

ამგვარად არ მოიქცა ზემონიქოზის ეკკლესიის მღვდელი. დაინახა თუ არა წარსული და აწმყო თავის ტაძრისა, ის თავგამოდებით დაფაცურდა: რავდენჯერმე ნახა ექსარხოსი და ბოლოს მის მეუფების ნებართვით შესდგა კომიტეტი, რომლის წევრებათ

*) წ—ნი შალვა და ელისბარ ერისთავები, წამებულნი მეჩვიდმეტე საუკუნეში, აქ ასაფლავიან.

დაინიშნენ საქმის მცოდნე, მოსიყვარულე და მუყაითი პირნი *). ზავიდა მას აქეთ სულ რამდენიმე თთვე და აბა ახლა მიბრძანდით და ნახეთ ზემონიქოზის ტაძარი! Დაძაბუნებული მოხუცი წელში ვაჟკაცურად გასწორებულა და საფლავის მაგივრად იგი დღეს მომავალს გასცქერის იმედიანათა. ბევრის ჭირისა და ლხინის მნახველი, ეჭვი არ არის, კიდევ ბევრს დროსა და ჟამს მოსჭამს ეს გავაჟკაცებული მოხუცი!.. Და, ვინ იცის, იქნება კიდეც მიაღწიოს იმ დრომდინაც, როდესაც საქართველოს კვალად ამოუბრწყინდება მზე სიმართლისა და განათლებისა, მზე ბრწყინვალე მომავალისა!... მაშ, გასწი და იარე! Დღეგრძელობა მოგანიჭოს უფალმა და გზა მშვიდობისა ერთი ათად შეგიმოკლოს Ღმერთმა!

—

Ეხლა რომ მიბრძანდეთ ზემონიქოზში და მოხსენებული დიდებული ტაძრის დათვალიერება მოინდომოთ, თქვენს თვალს წინაპირველად გადაეშლება წინ პატარა, მაგრამ საგანგებოთ მოსუფთავებული ეზო, რომელშიაც ოცამდისინ ახლად დარგული და ნახარი საჩრდილობელი ხეებია კოხტათ ჩამწკრივებული. Შუა ეზოში ამართულს დაინახავთ ძველს ეკკლესიას, რომლის კედლები, გუმბათი და ბანი გაახლებული დაგხვდებიან, შიგნიდანაც, წინანდელთან შედარებით ბევრს განსხვავებასა ნახავთ. როგორც წინათაც იყო, ეხლაც თეთრად გაულესიათ კედლები, ძირს თლილი ქვა დაუგიათ, ძველებური საღგომი ეპისკოპოსისა და მიწაში ჩადგმული, წარმართთა მოსანათლავი, ემბაზი ჯეროვანად გაუახლებიათ... ერთის სიტყვით კომიტეტს, როგორც ცხადათა სჩანს, ყოველი ღონისძიება უხმარია და მცირეოდენი ფულით ბევრი რამ გაუკეთებია, რისთვისაც მისი წევრნი ღირსნი არიან გულითადის მადლობისა და პატივისცემისა. Ყველა ამასთან, სამწუხაროდ, აქვე შეხვდებით ორიოდე იმისთანა გარემოებასაც, რომელიც უსიამოვნოდ მოქმედობს თქვენზედ და ძალა უნებურათ გათქმევინებს წყენითა; ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ასე არ მოეხდინათ!.. ეს გარემოებანი არიან შემდეგნი: ა, ძველებური ვიწრო და მოგრძო ფანჯრები, ვგონებ, ო თხგან თუ ხუთგან გამოუნგრევიათ და მათ ნაცვლად ეხლანდელი დიდი, განიერი ფანჯრები გაუკეთებიათ... Და ამნაირად ძველი და ახალი არხიტექტურა ერთმანერთში აურევიათ, რისგამო პირველს აკლდება თავისი განსაკუთრებული ღირსება, ეკარგება თავისი ერთგვარი შნო და ლაზათი. Ყოველივე ნაწილი შენობისა, როგორც ყველას კარგათ მოეხსენება, ერთი-ერთმანერთზე არიან შეზავებულნი და მოწყობილნი. Უკეთუ ერთი ყაიდის შენობის რომელსამე ნაწილს ანგრევ და სხვა ყაიდისას უკეთებ, ამით მთლად შენობა უშნოვდება და მახინჯდება. ამიტომ ძველის ისტორიულის ნაშთის აღმადგენელი იმას უნდა ცდილობდეს, რომ ყოველივე ძველი ძველადვე დასტოვოს და ახალ მოდური რამეებით არ ააჭრელოს მისი გარეგნობა, ანუ შინაგანი სახე. ბ, ბანიდამ აუყრიათ ლომფინი და მის მაგივრად დაუხურავთ კრამიტი. ჩემის აზრით, ლომფინი იმისთანა მტკიცე და გამძლე სახურია, რომ მისთვის ხელი სრულებით არ უნდა ეხლოთ... სადაც საჭირო იყო, იქ უნდა შესწორებულიყო და თუ მაინცა და მაინც ეს შესწორება საკმარისი არ იქნებოდა, ზედ ლომფინზედ უნდა დახურულიყო კრამიტი... გ, ვიდრე ეკკლესიის განახლებას ხელს მიჰყოფდნენ საჭირო იყო—მიეწვიათ ვინმე მცოდნე არხეოლოგიისა და მისგან შეეტყოთ: რა იყო ღირსი დაქცევისა და სრულიად აღებისა და რა შენახვისა და გაფთხილებისა. ეს უკანასკნელი გარემოება მეტათ საჭიროა სახეში იქონიონ ყველა იმათ რომელნიც ძველის ნაშთების აღდგენას და განახლებას მოინდომებენ. Ამისთანა შემთხვევაში მხოლოდ ხუროთ-მოძღვრის ჩვენებას არავინ არ უნდა დაემყაროს, რადგან ხუროთ-მოძღვრებასა და არხეოლოგიის შორის დიდი განსხვავებაა: შეიძლება ერთი ამათგანი კაცმა კარგათ იცოდეს, მეორესი კი სრულიად არაფერი გაეგებოდეს რა.

ნ. ლომოური.

*) თავ-მჯდომარედ კომიტეტისა ბრძანდება პატივცემული წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურთა ივანე დავითის ძე სულხანიშვილი; წევრებათ—გიორგი საძაგლიშვილი და მოხსენებული მღვდელი ზემონიქოზისა.

წელსა, 1889 № 22 30 ნოემბერს.

# მწყემსი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოსოსისა.

## წესდებულება

### სამრევლო სამზრუნველოებისა მართლ-მადიდებელ ეკკლესიებთან.

1) სამზრუნველად ნივთიერის მხრით სამრევლო ეკკლესიისა და კრებულის დაწყობილებაზედ და კეთილდღეობისათვის, და აგრეთვე ბავშვების პირველ დაწყებითი სწავლის გამართვისათვის და ქველ საქმეთა გავრცელებისათვის სამრევლოში არსდებიან სამრევლო სამზრუნველონი იმ პირთაგან, რომელნიც განირჩევიან კეთილმსახურებითა და მართლ-მადიდებელი სარწმუნოების ერთგულობით (მუმ. 1 უმაღ. დამტკიც. 2 აგვ. 1884 წ. დებულ. პ. ს. ზ. № 41144).

შენიშვნა. ამ სამზრუნველოთა დაარსების მიზანია მართებლობისა და წმ. ეკკლესიის დახმარება, ეკკლესიაში კეთილ მშვენიერების დაცვა და ეკკლესიის მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ ცდა, სასულიერო განათლების გავრცელება, და არა კანონებით აღკრძალული ეკკლესიის ქონებათა და მამულთა ხარჯვა და ფლანგვა (ტქაზ. 12 ოქტ. 1868 წ. № 62 ¹).

2) სამზრუნველონი შესდგებიან: ადგილობითი ეკკლესიის მოსამსახურეთაგან, რომელნიც უეჭველნი წევრნი არიან და სამწყსოის წევრებისაგან, რომელთაც ირჩევს მათი საზოგადო კრება (მუხ. 9) განსაზღრული ვადით. თითოეული სამზრუნველოის ერის-კაცთაგან წევრთა რიცხვი და მათი სამსახურის ვადა ისაზღვრება თითოეული სამრევლოის ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით, იმავე სამწყსოთა კრების მიერ, რაზედაც უნდა უწყებულ იქმნეს ეპარქიალური მღვდელმთავარი. ეკკლესიის მნათე არის სამზრუნველოის უეჭველი წევრი. სოფლის სამრევლოებში დაწესებულ სამზრუნველოებში არიან უეჭველ წევრებათ სოფლის სათემო მამასახლისები; ერთ სამრევლოს თუ ეკუთვნიან რამოდენიმე სათემოების გლეხები, მაშინ მის სამზრუნველოში მონაწილეობას იღებენ ამ სათემოთა ყველა მამასახლისები; ხოლო თუ ერთი სათემოის მცხოვრებნი ეკუთვნიან რამდენიმე სამრევლოებს, მაშინ ამ სათემოის მამასახლისი ითვლება წევრად ყველა იმ სამრევლოების სამზრუნველოებში (მუხ. 2 უმაღ. დამტ. 2 აგვ. 1884 წ. დებ. პ. ს. ზ, № 41114).

3) სამზრუნველოის თავ-მჯდომარეს ირჩევს სამწყსოთა საზოგადო კრება, ხმის უმეტესობით, ისეთ პირთაგან, რომელთაც დაუმსახურიათ საზოგადო ნდობა, ამათ რიცხვში შედის ადგილობითი მღვდელიც, რომელიც მეორე მუხ. ძალით ყოველ შემთხვევაში ითვლება სამზრუნველოის უეჭველ წევრად. სამზრუნველოის თავ-მჯდომარეს ენიჭება სამრევლოის მზრუნველის წოდება. როდესაც მზრუნველი სხვაგან იმყოფება, მის მაგიერ სამზრუნველოში თავ-მჯდომარეობს მღვდელი —სამრევლო ეკკლესიის წინამძღვარი (მუხ. 3 იქვე).

4) სამზრუნველოებს თავის სხდომებზე შეუძლიათ მოიწვიონ თავიანთ წევრთა გარდა, სხვა პირნიც თავის შეხედულობისამებრ. სამზრუნველოებში განსახილველად წარმოდგენილი საგნები მტკიცდებიან ხმის უმეტესობით; როდესაც ხმები თანასწორად იყოფება, მაშინ იმ მხარეს ეძლევა უპირატესობა, სითაც კრებაში თავ-მჯდომარის ხმაა. სამზრუნველოების სხდომათა დრო, მათი საქმეების წესი, თანამდებობათა განაწილება წევრთა შორის, და სხვ. ისაზღვრებიან თვით სამზრუნველოებისაგან, რაზედაც, თუ საჭიროება მოითხოვს, იუწყება ეპარქიალური მღვდელ-მთავარი (მუხ. 4 იქავე).

5) სამრევლო სამზრუნველოები ვალდებული არიან იზრუნონ: 1) სამრევლო ეკკლესიის შენახვაზე და მის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე და საშუალებათა გამოძებნაზედ საეკკლესიო შენობათა შესაკეთებლად ან დაძველებულ და დანგრეულთა მაგიერ ახალთა ასაგებად; 2) იმაზედ, რათა სამრევლო სამღვდელოებას ეძლეოდეს ყველა დანიშნული საშუა-

*) ეს განმარტება გამოიცა ზოგიერთ სამრევლო სამზრუნველოთა შუამდგომლობის გამო ეკკლესიებში უველა შეგროვილი ფულების მათ განკარგულებაში გადმოცემის შესახებ.

ლებანი მათ შესანახავად, ხოლო თუ ეს საშუალებანი არ კმარან, იზრუნონ მათი გადიდების სახსართა აღმოჩენაზედ; 3) ეკკლესიის კრებულთათვის სახლების აღშენებაზედ; 4) საშუალებათა აღმოჩენაზედ სკოლების, საავათმყოფოების, საგლახო და თავშესაფარებელი ბინების და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათა დაარსებაზედ, რომელთა აღშენება და მმართვა აგრეთვე შეადგენს სამზრუნველოთა მოვალეობას; 5) საზოგადოდ სამრევლოში მცხოვრებ ღარიბთათვის, როცა ეს აუცილებლად საჭიროა, შემწეობის აღმოჩენაზედ, აგრეთვე უპატრონო გარდაცვალებულთა დასაფლავებაზე და სასაფლაოების წესიერად დაცვაზედ (მუხ. 5 იქ.).

6) უმახლობელეს წყაროთა ფულისა და სხვა საშუალებათა სამრევლო სამზრუნველოებისათვის საზოგადოთ შეადგენენ კეთილმნებელობითი შეწირულებანი მრევლთა და გარეშე პირთაგან. თავის სამრევლოს გარეთ შეწირულებათა მოსაგროვებელად ეპარქიალურ მღვდელ-მთავარს შეუძლია მისცეს შესაკრებელი წიგნები. შეწირულებანი იკრიბებიან ცალკ-ცალკე: 1) ეკკლესიის სასარგებლოდ, 2) კრებულის სასარგებლოდ, 3) სკოლისა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათათვის. თუ ესრეთ შეწირულებათა ვერ დააკმაყოფილეს ყველა მოთხოვნილებანი, მაშინ სამზრუნველო, საპატიო წევრებთან მოლაპარაკების შემდეგ, შეადგენს წინადადებას მრევლთაგან განსაზღრულის ერთ დროულის, ანუ მუდმივის ღალის მოკრებაზედ, კრებულის დასახმარებლად, ან სხვა რამე საჭიროებისათვის. ასეთი წინადადება წარედგინება განსახილველად მრევლთა საზოგადო კრებას და, მისი მიღების და მაზედ განაჩენის დადგენის შემდეგ, ხდება იგი სავალდებულოთ ყველასათვის, ვინც მაზედ თანხმობა განაცხადა. როდესაც სამრევლოის კეთილმოსაწყობად საჭირო აღმოჩნდება რამე შემწეობა ან დახმარება ხაზინიდამ, ანუ სასულიერო და სხვა უწყებათაგან, მაშინ სამრევლო სამზრუნველო შუამდგომლობს მათ წინაშე ესრეთ შემწეობაზედ ან დახმარებაზედ (მ. 6 იქ.).

7) თუ სამრევლოში უკვე არიან სამრევლო ანუ კერძო საქველმოქმედო დაწესებულებანი, მაგალითებრ, სამზრუნველო რჩევანი ანუ საზოგადოებანი სამრევლოის ღარიბთა დასახმარებლად, საავათმყოფონი, თავშესაფარი ბინა, სკოლები და სხვ., მაშინ სამრევლო სამზრუნველოებმა, მათი მოქმედების შეუვიწროებლად, ხელი უნდა უწყონ, შეძლებისადაგვარ ესეთ დაწესებულებათა გაუმჯობესობას და გავრცელებას (მუხ. 7 იქავე).

8) სამრევლო სკოლები, როგორც საზოგადო დაწესებულებანი იმყოფებიან სასულიერო და სამოქალაქო მთავრობათა მზარველობის ქვეშ. როდესაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობათა, როგორც ადგილობით საზოგადოებათა იარაღნი, სამზრუნველოები ვალდებულნი არიან თავის საქმეები მართონ საჭირო სიცხადით და საცნაურობით და ერიდებოდენ ყოველს ნამეტან კანონიერებას. წლის ბოლოს, ისინი აძლევენ ანგარიშს თავის მოქმედებაზე და შესახებ მათ განკარგულებაში არსებულ ფულთა და ქონებათა, მრევლთა საზოგადო კრებას, რომელზედაც დამოკიდებულია ანგარიშის მიცემის წესი და მისი შემოწმება (მ. 8 იქ.).

შენიშვნა. შესახებ სამზრუნველოსაგან სახელმწიფო ხაზინის ხმარებისა განმარტებულია: სამზრუნველოებს, რომელნიც არსდებიან ეკკლესიებთან სამზრუნველოდ ტაძრისა და კრებულის ნივთიერ კეთილდღეობაზედ, ბავშვების პირველ დაწყებითი სწავლაზე და საქველმოქმედო საქმეთა გავრცელებაზედ სამრევლოში, — შესდგებიან რა სამღვდელო პირთა და ეკკლესიის მნათესაგან მრევლთა საზოგადო კრების მიერ საკრებო პირებათურთ, — არც თავის მიზნით, არც შედგენილობით, — არ აქვსთ თვით მდგომარე, ესე იგი, განსაკუთრებითი სამრევლოსგან და სამრევლო ეკკლესიისგან დაწესებულებებისა, ასე რომ სამზრუნველოებისადმი კუთვნილი ფულეების ხელმძღვანელობის წინდად ფულიან ყუთებს შეიძლება დაესვას ბეჭდები თავ-მჯდომარეთა, მღვდელთა, ეკკლესიის მნათეთა, სათემო მამასახლისთა, რომელნიც ხოლმე სამრევლოებში დაარსებულ სამზრუნველოებში ითვლებიან უეჭველ წევრებად, და აგრეთვე სამზრუნველოის სხვა წევრებისაც, შესაბამ იმისა, თუ როგორ დაადგენს მრევლთა საზოგადო კრება, რომელსაც ეკუთვნის სამზრუნველოების განკარგულებაში არსებულ ფულთა და ქონებათა შესახებ ანგარიშის მიცემის წესის დადგენა; აგრეთვე, სამზრუნველოის საქმეთა გამო მიწერ-მოწერის დროსაც, რომელიც არ უნდა იყოს და არც შეიძლება ფარული იყოს, რადგანაც სამზრუნველოებს კალად აქვსთ დადებული მოვალეობა ყოველგვარს ნამეტან კანონიერებას, — შეიძლება იხმარონ კერძო ბეჭდები თავ-მჯდომარის, ან მღვდლების, ამისათვის სამრევლო სამზრუნველოთა ბეჭდები, თუ სადმე იქმნეს ისინი გაკეთებული, უნდა ჩაბარდეს მათ (უკაზ. 27 ივლ. 1867 წ.).

9) მართლ-მადიდებელ მრევლთა საზოგადო კრებანი სამრევლო სამზრუნველოთა საქმეების გამო შესდგებიან სამრევლოის ყველა მოჯახეთაგან და მრევლთაგან, რომელთაც თუმცა სახლები არა აქვს სამრევ-

ლოში, მაგრამ ნება კი აქვსთ დაესწრონ ადგილობით ქალაქის ანუ სოფლის საზოგადოების კრებებში, ანუ ვინც აზნაურია,—აზნაურთა კრებებში, და აგრეთვე სხვა მრევლთაგან, რომელთაც მოწვევას სამრევლო სამზრუნველო სასარგებლოდ დაინახავს ამ კრებებში დასასწრებლად. თითოეულ პირს, რომელიც კრებაში ესწრება, თითო ხმა ეძლევა (მუხ. 9 უმაღ. დამტკიც. 2 აგვ. 1884 წ. დებულ.).

10) ყველა პირების ცალკე სია, რომელთაც მეცხრე მუხლის ძალით ნება აქვსთ დაესწრონ მრევლთა საზოგადო კრებას, სამრევლო სამზრუნველოსაგან უნდა ექმნეს შემდგარი და დაცული შეუცვლელად. თავდაპირველად, სამზრუნველოთა დაარსებამდე, ეს სია დგება მღვდლისაგან—ეკკლესიის წინამძღვრისაგან—მრევლთაგან ათი საპატიო პირის თანა დასწრებით (მუხ. 10 იქავე).

11) მრევლთა კრებანი მოიწვევიან სამრევლო სამზრუნველოის თავ-მჯდომარისაგან, და თუ ის სხვაგანაა, ეკკლესიის წინამძღვრის—მღვდლისაგან, სამზრუნველოის თანხმობით და იმართებიან მათი ზედამხედველობით. დანიშნული კრების დღეზედ, ადგილზედ და მიზანზედ მღვდელი ატყობინებს მრევლთა თვით ეკკლესიაში, როცა ხალხია მოგროვილი, კრების წინ სამ კვირა-უქმე დღეებში.

12) მრევლთა კრება ითვლება კანონიერად, თუ მასზედ დაესწრო არა ნაკლები მეათედის იმ პირთა, რომელთაც კრებაზედ დასწრების უფლება აქვსთ. კრებაშიდ საქმენი გადაწყდებიან ხმის უმეტესობით და დადგენილ გადაწყვეტილებაზედ სდგება განაჩენი. განაჩენები შესახებ ღალის დადგენისა, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ მათთვის, ვინც მაზედ თანხმობა განაცხადა, ითვლებიან კანონიერად, კიდეც რომ კრებაზედ ზემო აღნიშნულ პირთა რიცხვზედ ნაკლებიც დაესწრონ (მუხ. 11 იქავე).

13) სამზრუნველოის ანგარიშის შესამოწმებლად და სხვა განკარგულებათათვის, სამზრუნველოის წევრთა ამორჩევის გარდა, მრევლთ შეუძლიათ თვის შორის დანიშნონ უფლებით შემოსილნი პირნი 3—15-დე, სამრევლოის სივრცის მიხედვით (მუხ. 12 იქ.).

14) შესახებ საგანთა, რომლებიც აღემატებიან სამზრუნველოის და მრევლთა საზოგადო კრების უფლებას, აგრეთვე საეჭვო შემთხვევებში, სამზრუნველო წარუდგენს საქმეს ეპარქიალურ მღვდელ-მთავარს, გადასწყვეტად ანუ მისაწერად, ვისდამიც ჯერ არს (მ. 13 ი.).

15) სამრევლოებში, რომლებშიაც სამზრუნველოთა დაარსება რამოდენიმე ამორჩეულ წევრთაგან მოუხერხებელი აღმოჩნდება, სამზრუნველოს მოვალეობანი, ეპარქიალური მღვდელ-მთავრის დამტკიცებით, შეიძლება მიენდოს ერთ პირს, რომელიც დიდად პატივცემულია სამრევლოში და მიენიჭოს იმას შესაფერი უფლებანი და მზრუნველის წოდება. ესეთი უფლებით შემოსილი პირი მოქმედობს ყველაფერში ზემო აღნიშნულ წესდებათა თანახმად და ყოველ საჭირო შემთხვევებში წინადვე შეთანხმდება ეკკლესიის წინამძღვართან (მუხ. 14 იქავე).

16) სამრევლო სამზრუნველოების დაარსება, ნაჩვენები მუხლების ძალით, მინდობილი აქვს ეპარქიალურ მღვდელ-მთავრებს, რომლებმაც ისინი უნდა გახსნან არა ერთ დროულად, არამედ თან-და-თან, და შეძლებისა და მოხერხების დაგვარ. ხოლო ადგილობით მთავრობათა და საზოგადოებათა ქალაქებში და სოფლებში, აგრეთვე მომრიგებელ დაწესებულებათა,—შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთა მიწერ-მოწერით, მინდობილი აქვსთ აღმოუჩინონ შეძლებისადაგვარი შემწეობა ამ საქმის წესიერად და წარმატებით წასაყვანად (მუხ. 1 უმაღ. დამტკიც. 2 აგვ. 1884 წ. სამ. სახელ. რჩევ.).

17) თუ ვინიცობაა საჭიროება მოითხოვს შეივსოს, ან შეიცვალოს წესდება სამრევლო სამზრუნველოებისა, ეს სამზრუნველოები წარუდგენენ ამაზედ საქმეს ეპარქიალურ მღვდელ-მთავარებს და ეს უკანასკნელნი გამოითხოვენ ნება-რთვას დადგენილი წესისაებრ. ყველა იმ შემთხვევებში, სადაც საჭიროა შემწეობა ანუ დასკვნა სამოქალაქო მთავრობისა, მღვდელ-თმავრები ვალდებულნი არიან გამართონ მიწერ-მოწერა ადგილობით გუბერნიის მთავრობათა (პ. 2 უმაღ. დამ. 2 აგვ. 1884 წ. სამ. სახელ. რჩ.).

18) ამურის პირას და სამხრეთ მცხოვრებთა და ყოფილ პახოტის ჯარის კაცთა ოლქებში გახსნა საეკკლესიო-სამრევლო რჩევათა მოქმედების შესათანხმებლად სამრევლო სამზრუნველოებზე დადგენილ წესდებასთან, ადგილობით მთავრობასთან შეთანხმებით, და სადაც გახსნილია, განსაკუთრებით, გუბერნიის პრისუტსტვიე სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქმის გარჩევის შემდეგ ამ პრისუტსტვიაში,—წარუდგინონ საჭირო მოსაზრებანი სამზრუნველოებში შესახებ იმ რჩევათა გადაკეთებისა და შეცვლისა.

შენიშვნა. საეკკლესიო რჩევანი, რომლებიც იყვნენ სამხრეთ მცხოვრებლებში ამურის პირას და ყოფილ პა-ხოტის ჯარის კაცთა ნოვგოროდის და სტაროროუსის მაზრების სოფლებში, წოდებულ არიან სამრეკლო სამზრუნველოებათ და შეცვლილნი მათი შედგენილობის შესახებ, თანახმად 2 აგვ. 1884 წ. უმაღლესად დამტკიცებულის დებულობისა სამრეკლო სამზრუნველოებზედ მართლ-მადიდებელ ეკკლესიებთან, და ექვემდებარებიან ყოველის მხრით ამ დებულების წესდებათა (28 იანვ. 1868 წ. პ. ს. ზ. № 45439 ობერ-პროკ. ანგ. 1867 წ. და 1869 საქ. უწმ. სინ. 1888 წ. № 4668)

19) რადგან სატახტო ქალაქები განსხვავდებიან ყველა სხვა ადგილებიდამ მრავალი მკვიდრი მცხოვრებლებით და დიდძალი რიცხვით დროებით მცხოვრებთა სხვა-და-სხვა სამრევლოებში, ამისათვის ადგილობით გუბერნიის პრისუტსტვიებს მინდობილი ჰქონდათ, სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ იქონიონ დაწვრილებითი მსჯელობა იმაზედ, თუ რა საფუძველზედ შეიძლება დაარსდეს სამრევლო სამზრუნველოები ს.-პეტერბურღისა და მოსკოვის ეკკლესიებთან. (მუხ. 4 უმაღ. დამტკიც. 2 აგვ. 18 4 წ. სახელმწ. რჩ. სამინისტ.)

შენიშვნა. სატახტო ქალაქებში არიან სხვა-და-სხვა სამრევლო სამზრუნველო საზოგადოებანი, რომელნიც სამრევლოს ღარიბთა შემწეობის აღმოსაჩენად, აძლევენ მათ დროებით და მუდმივ შემწეობას, აძლევენ მათ ხარჯმელს, ტანსაცმელს იაფ ბინებს და სხვ. გარდა ამისა, ზოგიერთ საზოგადოებებში დაარსებული არიან საგლახაო სახლები დამოხუცთა თავშესაფარნი და აგრეთვე თავშესაფარნი და სკოლები ბავშვების მოსავლელად და აღსაზრდელად; სხვათა შორის იმ მიზნით, რომ გაანთავისუფლონ ღარიბი მშობლები მათზედ ზრუნვისაგან და მით მისცენ მათ შეძლება თავისი შრომით იშოვონ თავისი ლუკმა პური მაინც. ესეთი საზოგადოებანი სდგებიან სამრევლოებში, ჩვეულებრივ სახელს არქმევენ სამრევლო ეკკლესიებისას და მოქმედობენ თავისი წესდებათა ძალით.

20) დასავლეთის მხარის განსაკუთრებით გარემოებათა მიხედვით, ვითარცა დროებითი ზომა, ნება დართულია ჩრდილოეთ-დასავლეთის გუბერნიებში განსაკუთრებითი საეკკლესიო რჩევების დაარსება, მათთვის ცალკე გამოცემულის წესდების ძალით. (23 მარტ. 1866 წ. უმაღ. დამტ. წეს. კურ. პრისუტ. მართ. ნამღვ. საქ. მებრ.) 1887 წ. ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარის გუბერნიებში საეკკლესიო რჩევები სახელწოდებულ არიან საეკკლესიო სამზრუნველოებად და ექვემდებარებიან დებულებას 2 აგვ. 1864 წ. საეკკლესიო სამზრუნველოებზე. (ობერ-პროკ. ანგარიში 1867 წ.)

# სია

სასულიერო წოდების პირთა საქართველოს საექსარხოსოში, რომელთაც უწმიდესი სინოდისაგან მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პავლეს შუამდგომლობით დაენიშნათ ერთდროებითი შემწეობა ამ ქვემოთ დანიშნულებისამებრ.

ა) 1887 წელს.

| | მან. |
|---|---|
| **პრიჩეტნიკებს:** | |
| 1) სიმონ შალიბოვს | 30 |
| 2) გრიგორი ფხალაძეს | 30 |
| 3) დეკანოზი მამისოვის მქვრივს მარიამს | 70 |
| **მღვდლების მქვრივთა:** | |
| 4) ანნა კრილოვისას | 60 |
| 5) კლავდია კუზნეცოვისას | 65 |
| 6) პელაგია ჩხატარაიშვილისას | 70 |
| 6) მარიამ ტიტვინიძისას | 70 |
| 8) ანნა მელიასას | 70 |
| 9) სოფიო მანტეშოვისას | 70 |
| 10) თამარ მთიულოვისას | 70 |
| 11) სოფიო ტაბლიევისას | 70 |
| 12) მელანია ბაზიეროვისას | 70 |
| 13) სიდონია ხელაევისას | 70 |
| 14) მარიამ სოფრომაძისას | 70 |
| 15) თინათინე გამხაროვისას | 70 |
| 16) დიაკონ მესხის მქვრივს ნინოს | 50 |
| 17) პრიჩეტნიკი კოტეტოვის მქვრივს ეკატერინეს | 30 |
| 18) დეკანოზი მამაცოვის ასულს ნინას | 50 |
| სულ | 1075 |

და ბ) 1888 წელს.

| | |
|---|---|
| 1) მღვდელს იაკობ ხოჯაევს | 70 |
| 2) პრიჩეტნიკს ნიკოლოზ ბოჩორიძეს | 30 |
| 3) დეკანოზის მამისოვის მქვრივს მარიამს | 70 |
| **მღვდლების მქვრივთა:** | |
| 4) ანასტასია ბარნაბოვისას | } |
| 5) ანასტასია გურგენიძისას | } |
| 6) მარინე დალაქიშვილისას | } |
| 7) მარიამ დადაევისას | } |
| 8) მარიამ ემსახედაშვილსას | } 70 |
| 9) ნინა კარბელოვისას | } |
| 10) ესთერი კასრაძისას | } |
| 11) სოფიო კახაბეროვისას | } |
| 12) ნინა კაციტაძისას | } |
| 13) კლავდია კუზნეცოვისას | 65 |
| 14) ანნა მეზიევისას | 70 |
| 15) ბელანია სანთლიკუდოვისას | 70 |
| 16) მარიამ ტიტვინიძისას | 60 |
| 17) მარიამ ხახუტოვისას | 70 |
| 18) პართენე ცანდეკოვისას | 70 |
| 19) სიდონია ჩივაძისას | 70 |
| 20) პელაგია ჩხატარაიშვილისას | 70 |
| **პრიჩეტნიკების მქვრივთა:** | |
| 21) სალომე გლარჯაძისას | 30 |
| 22) მაკრინე კოლოტაძისას | 30 |
| 23) დეკანოზი მამაცოვის ასულს ნინას | 50 |
| სულ | 1455 |
| და სრულიად | 2530 |